პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 15 (717). კვირა, 21 თებერვალი, 1954 წ. ფასი 30 კაპ.

მხარი დავუჭიროთ პატრიოტულ თაოსნობას

საბჭოთა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია ყოველდღიური სისხლსავსე საქმიანობით მტკიცედ იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა და მითითებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის სპორტული დიდების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების შედეგად ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება ფიზკულტურა და სპორტი, რომელიც ემსახურება ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ფიზიკური გაჯანსაღების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ჩვენი ახალგაზრდობის სპორტული დაოსტატების შემდგომი ამაღლებისათვის, მაღალი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის უპირველეს პირობას წარმოადგენს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა. ეს ყველასათვის ცხადია და აქეთკენ უნდა გავამახვილოთ მთელი ჩვენი ყურადღება.

საქართველოში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. ახალგაზრდების ინიციატივით ყოველწლიურად იზრდება სპორტული ბაზების რიცხვი — შენდება ახალი, უფრო კეთილმოწყობილი ხდება არსებული. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა ცნობა ლანჩხუთის რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების პატრიოტული თაოსნობის შესახებ. ლანჩხუთის რაიონის ახალგაზრდობამ ვალდებულება აიღო მოაწყოს სპორტული ბაზების მშენებლობის ერთთვიური. ახალგაზრდების ამ ფრიად მნიშვნელოვანმა წამოწყებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეების ხელმძღვანელთა მხრივ, ხოლო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა და მხარი დაუჭირა ლანჩხუთელთა ინიციატივას და თავის დადგენილებაში რჩევა მისცა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ ლანჩხუთის რაიონის ახალგაზრდების ინიციატივას.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი — საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველი და დასაყრდენია. მაგრამ თუ ფიზკულტურულ კოლექტივებს არ გააჩნიათ სპორტული ბაზა, რასაკვირველია, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა ჯეროვან სიმაღლეზე არ იქნება დაყენებული. დასამალი არ არის, რომ ზოგიერთი საწარმოს, სასწავლებლისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს საკუთარი სპორტული ბაზის მოწყობა ზედმეტ საქმედ მიაჩნიათ.

ჩვენი რედაქცია ხშირად იღებს მამხილებელ წერილებს ზოგიერთი ქალაქის, რაიონის სპორტულ ბაზებში არსებული არანორმალური მდგომარეობის შესახებ. ახალგაზრდები ხშირად საყვედურობენ, რომ მათ არ გააჩნიათ საშუალება რეგულარულად იმეცადინონ, დაეუფლონ მათთვის საინტერესო სპორტულ სახეობას. ბათუმის სპორტსკოლის სპორტულ დარბაზში ჭერიდან წყალი ჩამოდის, ხოლო სპორტსკოლის ხელმძღვანელები ამას გულდამშვიდებით უყურებენ. ასეთივე მდგომარეობაშია ქობულეთის სპორტსკოლის დარბაზი.

ახლოვდება სპორტული ზაფხული. მალე დაიწყება მასობრივი ღონისძიებები. ამიტომ ლანჩხუთელთა ინიციატივა მეტად დროულია და იგი დახმარებას გაგვიწევს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გამოცოცხლებაში. ინიციატივამ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდობაში უკვე ჰპოვა გამოხმაურება. ბევრმა ორგანიზაციამ მტკიცედ გადაწყვიტა კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით შეხვდნენ ახალ სპორტულ სეზონს. იქ, სადაც ფიზკულტურული ორგანიზაციები მონდომებით მუშაობენ, დროულად და პრინციპულად აყენებენ თავიანთ საქმიან მოთხოვნებს, წინადადებებსა და ღონისძიებებს, ხოლო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ყოველივე ამას ყურადღებას აქცევენ, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა წინ მიდის და ამას, რასაკვირველია, განუხრელი წარმატებაც მოჰყვება.

ჩვენ უკვე დავბეჭდეთ მარტივი ტიპის კომბინირებული სპორტული მოედნების პროექტები. დღეს ვაქვეყნებთ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების პროექტებს, დავბეჭდავთ აგრეთვე ფეხბურთის მოედნის, სარბენი ბილიკების, საჭიდაო სარბიელისა და სხვათა პროექტებს. ეჭვი არ არის, რომ ეს პროექტები დახმარებას გაუწევენ სპორტული მოედნების მშენებლობის ენთუზიასტებს.

ფიზკულტურის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, საწარმოთა, უმაღლესი და საშუალო სკოლების ხელმძღვანელებმა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში უნდა იბრძოლონ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ყოველი სასარგებლო ინიციატივის ფართოდ გავრცელებისა და დანერგვისათვის. ამას მოითხოვს საბჭოთა ფიზკულტურის მუშაკებისაგან სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის კეთილდღეობასა და ფიზიკურ გაკაჟებაზე.

მსოფლიო ჩემპიონები

შვეციის ქალაქ ფალუნში გრძელდება მსოფლიო პირველობა სათხილამურო სპორტში. შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა ლ. კოზირევამ, მ. მასლენიკოვამ და ვ. ცარევამ, რომლებიც მონაწილეობდნენ სათხილამურო ამანათრბენში 3×5 კმ. საბჭოთა სპორტსმენებმა აჩვენეს საუკეთესო დრო 1 საათი, 5 წუთი და 54 წამი. მათ მიენიჭათ მსოფლიო ჩემპიონების წოდება ამანათრბენში. მეორე ადგილზე გავიდა ფინეთის გუნდი.

• • •

17 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სათხილამურო ასოციაციის მიწვევით მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის სათხილამურო სექციის წარმომადგენელი გ. კუკუშკინი. იგი მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ეროვნული სათხილამურო ასოციაციის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმში, რომელიც გაიმართება მიჩიგანის შტატში.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. მ. პ. გიორგაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილი.

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

ი. ზ. აბაშიძე, გ. ე. აბესაძე, გ. ა. ალავიძე, ს. ს. ალექსანდროვი, ა. ი. ანტონოვი, მ. ი. ანტონოვი, ს. ა. ბანიძე, პ. ე. ბაქრაძე, ა. ს. ბექაური, ა. ი. ბონდარევი, ბ. ს. ბუკია, ნ. ვ. გაბუნია, გ. ა. გეგეშიძე, ა. ა. გიგოშვილი, პ. გ. გილაშვილი, მ. პ. გიორგაძე, ნ. ა. გიორგაძე, ნ. გ. გომელაური, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია, გ. ნ. ზამბახიძე, გ. დ. თავამაიშვილი, გ. გ. თვალჭრელიძე, მ. ე. თოფურიძე, ა. დ. თხილაიშვილი, ა. ნ. ინაური, ა. თ. კარტოზია, ზ. ნ. კეცხოველი, ზ. ვ. კიკნაძე, შ. თ. კობრეიძე, ი. დ. კოჭლამაზაშვილი, ი. ი. კუდუხოვი, მ. ი. კუჭავა, ა. მ. ლაბახუა, თ. ვ. ლაშქარაშვილი, მ. მ. ლელაშვილი, დ. გ. მამაცაშვილი, დ. მ. მამულაძე, მ. კ. მაღრაძე, მ. ა. მეგრელიშვილი, ვ. ი. მელქაძე, ა. ი. მიგრიაული, ვ. პ. მჟავანაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ნ. ლ. ოსიპი, ი. გ. რთველიაშვილი, დ. ზ. რომელაშვილი, გ. გ. სანაკოევი, გ. ს. სეხნიაშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, ე. პ. ტაკიძე, ა. ვ. ტიმოფეევა, ლ. მ. უკლება, პ. გ. ქემოკლიძე, თ. ნ. ქვლივიძე, მ. ყ. ყულიევი, ი. პ. ყუჯიაშვილი, გ. ი. შარაშიძე, ა. ს. შენგელია, შ. ს. შეულაშვილი, შ. ი. ჩილაჩავა, მ. გ. ჩიქოვანი, ე. დ. ჩოფიკაშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ს. კ. ჩხარტიშვილი, ბ. ა. ჩხეიძე, მ. ფ. ჩხეიძე, ი. ი. ჩხიკვიშვილი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, კ. ს. ციმაკურიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ნ. ე. ჭახრაკია, დ. ა. ჭიჭინაძე, ი. რ. ხვედელიანი, გ. ა. ჯაბუა, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, გ. ნ. ჯიბლაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

ი. ვ. ბერძენი, ზ. მ. ბიძინაშვილი, ე. ე. ბურჭულაძე, მ. ი. ბურჭულაძე, კ. ლ. გურგენიძე, ა. მ. დავითაშვილი, მ. დ. დავითაშვილი, თ. ნ. დავითაშვილი, ი. ს. დოლიძე, მ. ა. ზაპევალინი, მ. ვ. ზელემკოვი, ე. ზ. თავაძე, ი. კ. თარბა, ი. ი. კავილაძე, შ. ს. კახიძე, გ. ი. კეჩხუაშვილი, ვ. ს. კვარაცხელია, ნ. გ. ლაზარაშვილი, ი. ნ. ლალიძე, კ. მ. ლომაძე, მ. კ. ლომიძე, ა. ე. მელაძე, ვ. ვ. მირიანაშვილი, ა. ს. ნუენიაკოვი, ვ. ა. პაატაშვილი, ვ. ა. პეტრიაშვილი, ზ. ნ. პოლოხიანი, ს. ტ. როგავა, ს. ს. როსტიაშვილი, ზ. ს. უზუნაშვილი, ა. ვ. უთიაშვილი, ვ. გ. ქერქაძე, ა. მ. ქონიაძე, კ. მ. შავიშვილი, ვ. დ. ჩალაძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, პ. გ. ცაგარეიშვილი, მ. დ. ციხისთავი, ვ. ლ. ჭანკოტაძე.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

გ. კ. აბესაძე, ა. ა. ავაზაშვილი, ბ. ვ. აკიმენკო, პ. ნ. ბაქრაძე, ა. მ. ბერიძე, ა. ა. ბლრციანი, დ. ვ. გელაშვილი, ა. დ. გიორგაძე, გ. ი. ელისაბედაშვილი, შ. ლ. ვასაძე, კ. მ. თარგამაძე, ზ. ა. კვაჭაძე, ს. ა. ლარცულიანი, ა. გ. ნუცუბიძე, გ. დ. ჟორჟიკაშვილი, დ. ხ. საბაშვილი, ნ. ი. ფანცულაია, შ. გ. ცომაია, კ. გ. ჭიმჭარაული, ა. თ. ხელიძე, დ. ა. ხვარცკია.

დაიხურა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

18 თებერვალს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ყრილობა იწყებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის არჩევნებს. ასახელებენ კანდიდატურებს ფარული კენჭისყრისათვის.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ასარჩევად კენჭისყრის შემდეგ ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. გ. დ. ჟორჟიკაშვილს. იგი აცხადებს, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში.

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ამხ. ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობას დახურულად აცხადებს. დელეგატები ფეხზე მდგომნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

საბჭოთა სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე

მიმდინარე წლის თებერვალი მეტად მდიდარია საერთაშორისო შეხვედრებითა და ჩემპიონატებით, რომლებშიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის სპორტსმენები.

მეტად საინტერესო გამოდგა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების შეხვედრები მოსკოვში. ჩეხები ჩინებული ჰოკეისტები არიან, ჰოკეი მათ ქვეყანაში 50 წელზე მეტია კულტივირებულია. 1948 წელს ჩეხებმა მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ. პირველი შეხვედრა, როგორც ჩვენ უკვე ვატყობინებდით, მოიგეს სტუმრებმა (5:3). მეორე მატჩი, რომელსაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, ნორვეგიელები ნორვესტადი და პაულსბერგი მსაჯობდნენ, საბჭოთა ჰოკეისტებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 2:0.

• • •

ოსლოში, „ბიშლეტის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და სსრ კავშირის უძლიერესი მოციგურეები.

როგორც ყოველთვის, შეჯიბრება დაიწყო 500 მეტრზე რბენით. ი. სერგეევმა კვლავ ცხადყო რომ იგი მსოფლიოში საუკეთესო სპრინტერია. მან მოიგო პირველი ადგილი და აჩვენა 42,9 წამი. 1.500 მეტრზე რბენაში საუკეთესო დრო ჰქონდა ბ. შილკოვს — 2:19,8. ერთნაირი შედეგი — 8:22,8 აჩვენეს ო. გონჩარენკომ და ი. ანდერსენმა 5.000 მეტრზე რბენაში. ყველაზე გრძელ მანძილზე — 10.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა გონჩარენკომ — 17:21,2.

მრავალჭიდის ჯამში 194,840 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა ო. გონჩარენკო. მომდევნო ადგილებზე არიან შილკოვი, საკუნენკო და კისლოვი.

• • •

16 თებერვალს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა მიიღო მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — შვეციის ნაკრები. საბჭოთა ჰოკეისტებმა თამაშის ბრწყინვალე კლასი აჩვენეს და ძლიერი მოწინააღმდეგე ასტრონომიული ანგარიშით — 13:1 დაამარცხეს.

თათბირი ფიზკულტურული მუშაობის დაგეგმვის შესახებ

ამას წინათ განათლების სამინისტროს ფიზკულტურული მომზადების განყოფილებამ გორში მოიწვია პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეების თათბირი.

მოხსენებით გამოვიდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ამხ. რატია. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ინსტიტუტში ფიზკულტურული მუშაობის დაგეგმვის საქმეში ამჟამად არსებულ მდგომარეობას. მოხსენების დასასრულს ამხ. რატიამ წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები ინსტრუქციით გათვალისწინებულ გეგმებში ცვლილებების შეტანის მიზნით. კამათში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის დეკანმა პ. ჯაფარიძემ, ბათუმის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ბედოშვილმა, სუხუმის ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ელერდაშვილმა, ბათუმის ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტის სპორტთამაშობათა კათედრის გამგემ ისტომინმა, ამავე ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის გამგემ კოზმოვმა და სხვ. მათ მხარი დაუჭირეს წამოყენებულ წინადადებებს და თავის მხრივ შეიტანეს მთელი რიგი დამატებანი და შესწორებანი. თათბირმა ამ საკითხთან დაკავშირებით წამოაყენა შემდეგი წინადადებები: ვინაიდან ინსტიტუტში ფიზკულტურული მუშაობის დაყენებისა და სტუდენტთა ჯანმრთელობისათვის უშუალო პასუხისმგებლობა აკისრია ინსტიტუტის დირექციას ინსტიტუტის საერთო სამუშაო გეგმაში შეტანილ უნდა იქნას ცალკე განაყოფი ფიზკულტურული მუშაობის შესახებ, ნაცვლად კულტმასობრივი მუშაობის განაყოფის ქვესაკითხისა. იგი უნდა შეიცავდეს მთელი ინსტიტუტის მასშტაბით გასახორციელებელ საკითხებს. სახელდობრ: სპორტნაგებობათა მშენებლობა, სპორტული ბაზების რემონტი, ინვენტარის შეძენა-შეკეთება, ბაზების იჯარა, ინსტიტუტებს შორის სპარტაკიადებში მონაწილეობის მიღების ორგანიზაცია, ინსტიტუტებს შორის და ინსტიტუტის გარეშე სპორტის ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებების მოწყობა და მონაწილეობა, სადღესასწაულო პარადებში გამოსვლები, ბანაკების, საინსტიტუტო ლაშქრობების, გადასვლების მოწყობა და სხვ., ე. ი. ისეთი საკითხები, რომლის მოწყობა სცილდება კათედრის უფლებებსა და შესაძლებლობას.

იმის გამო, რომ საექიმო პუნქტი უშუალოდ ინსტიტუტის დირექტორს ემორჩილება და არა ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრას, ინსტრუქციით გათვალისწინებული „კათედრის მუშაობის გეგმიდან“ ამოღებულ იქნას განაყოფი „სამედიცინო-სანიტარული მომსახურება“ და ეს უშუალოდ მოეთხოვოს თვით დირექციას. ამით განთავისუფლდება კათედრები და ფიზკულტურის მასწავლებლები იმ არაპირდაპირი და ზედმეტი სამუშაოებიდან, რომელთა შესრულება მათ საკმაოდ აშორებს ძირითად მოვალეობას.

ინსტრუქციით გათვალისწინებული კათედრის სამუშაო გეგმა ძირითადად შვიდ განაყოფს შეიცავს. ფორმის მიხედვით ეს განაყოფები შესავსები გრაფების სხვადასხვაობის გამო წარმოდგინდებიან, როგორც ცალკე დოკუმენტები და ნაცვლად ერთი „კათედრის სამუშაო გეგმისა“ შესადგენი ხდება ცალცალკე „კათედრის გეგმები“. თათბირმა საჭიროდ ცნო კათედრის გეგმისათვის ისეთი ფორმის შემოღება, რომლის გრაფებიც საშუალებას მოგვცემდა ყველა განაყოფი წარმოგვედგინა, როგორც ერთი დოკუმენტის ორგანული ნაწილი.

ამასთან ინსტრუქციით გათვალისწინებული „კათედრის სამუშაო გეგმიდან“ ცალკე გეგმებად გამოყოფილ უნდა იქნან „კათედრის სხდომების“ და „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის“ განაყოფები, იმ მოსაზრებით, რომ პირველი ითვალისწინებს საკითხებს, რომელიც ჯერ განხილულ უნდა იქნას კათედრის მიერ და შემდეგ წარმოსდგეს განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ ეს განაყოფი თავისი არსით განსხვავდება გეგმის სხვა განაყოფებისაგან. ხოლო მეორეს, თავისი სპეციფიკურობა, მასში გათვალისწინებულ თემებზე მუშაობის თავისებურება და მასზე მუშაობის ხანგრძლივობა განასხვავებს სხვა განაყოფებში ორგანიზაციულ, ეპიზოდურ და ოპერატიულად გადასაწყვეტ საკითხებისაგან. ამასთან, ის ფორმა, რომელიც ინსტრუქციით გათვალისწინებულია ამ განაყოფისათვის, არავითარ წარმოდგენას არ იძლევა ამ სახის მუშაობის შინაარსზე.

თათბირმა საჭიროდ ცნო სხვა განაყოფებში კათედრის სამუშაო გეგმა წარმოდგენილ იქნას მუშაობის იმ განაყოფებით, რომელიც ყველაზე უფრო დამახასიათებელია კათედრის მუშაობისათვის. სახელდობრ კათედრის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი შესავსები გრაფები: შესრულებული სამუშაო და ღონისძიებები, შესრულების ვადა, აღნიშვნა შესრულებაზე (ოქმის ნომერი ან მუშაობის შესრულების აღრიცხვის სხვა დოკუმენტი) და გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ძირითადი განაყოფები: 1. ორგანიზაციული საკითხები; 2. სასწავლო-მეთოდური საკითხები; 3. მასობრივ-სპორტული მუშაობა, რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად მოიცავს მუშაობას მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებისათვის და, ამრიგად, იქმნება ინსტრუქციით გათვალისწინებული „მშთ ნიშნოსნების მომზადების“ და „თანრიგოსნების მომზადების“ გეგმების ცალკე შედგენის საჭიროება, მით უმეტეს, რომ ინსტრუქციით გათვალისწინებული გეგმები აღნიშნავენ მხოლოდ ორ საკითხს—„გეგმას“ და „შესრულებას“; 4. მასწავლებელთა მეცნიერული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება და მუშაობა პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად; 5. სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა და სამეცნიერო წრეებისადმი ხელმძღვანელობა; 6. სამეურნეო საკითხები.

კათედრის გეგმის ეს ვარიანტი სავსებით დააკმაყოფილებს საერთო მომზადებისა და სპეციალური ფაკულტეტის კათედრების მოთხოვნებს.

კათედრის სხდომების გეგმა თავისი გრაფებით არ განსხვავდება ინსტრუქციით წარმოდგენილ შესაბამისი განაყოფისაგან, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ფორმით: თემების დასახელება, პრობლემა, რომელშიც შედის თემა, შემსრულებელი, მეცნიერ ხელმძღვანელი, შესრულების დრო (დაწყება-დამთავრება), შრომის ხასიათი და აღნიშვნა შესრულებაზე. თათბირმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად შეიცვალოს ინსტრუქციით გათვალისწინებული „გაშლილი სამუშაო გეგმა“, „პროგრამით გათვალისწინებული მასალის მეთოდური დამუშავება“ და „მასწავლებლის მუშაობის ინდივიდუალური გეგმა“.

თათბირმა უარყო კათედრაზე მასობრივი მუშაობის გეგმის ცალკე შედგენა, როგორც ეს ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, მუშაობის ამ უბანს სავსებით დააკმაყოფილებს კათედრის გეგმაში გათვალისწინებული განაყოფი, მხოლოდ კათედრაზე უნდა შედგეს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც ნაჩვენები იქნება სპორტის სახეობები და ღონისძიებები, როდის ტარდება ისინი, სად ტარდება, ვინ მონაწილეობს მასში, ვის დაევალა ამ ღონისძიებათა ჩატარება და ჩატარების შესახებ აღნიშვნა.

ინსტიტუტში სხვადასხვა ფაკულტეტის არსებობის გამო, თათბირი ტოვებს სასწავლო პროცესის გრაფიკის შედგენის საჭიროებას კათედრაზე.

ამრიგად, დღეისათვის, ფიზკულტურული მუშაობის დაგეგმვისათვის საჭირო 14-16 სხვადასხვა სახის დოკუმენტის ნაცვლად, თათბირი აყენებს წინადადებას შეცვლილ იქნას ისინი აქ წამოყენებული 9 ძირითადი დოკუმენტით.

ო. დიდებულიძე,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურული მომზადების განყოფილების უფროსი.

საკუთარი ძალებით მოვაწყოთ სპორტული მოედნები

◆

ფრენბურთის მოედანი





მოედანი 14×23 მ ზომისაა. მოედნის სამსაჯო ზომებია 9×18 მ. მოედნის ზედაპირი უნდა იყოს სწორი, გაფხვიერდეს ფოცხით, გაიწმინდოს ქვებისაგან, შუშებისაგან და ა. შ. გასწორდეს და დაიტკეპნოს წინასწარი მორწყვის შემდეგ. თუ ნიადაგში ცოტაა სილა, საჭიროა ზევიდან მოვაყაროთ იგი 2 სმ სისქეზე, ავურიოთ გრუნტში, თუ კი ნიადაგში ბევრია სილა, მაშინ მას უნდა დაემატოს მიწა ან თიხა. ძლიერ თიხნარ გრუნტს უნდა დაემატოს ორჯერ მეტი სილა.

ფრენბურთის ბადის სიგრძე — 9,5 მ, სიგანე—1 მ. ბადე გაბმულია ბოძებზე, რომლებიც მიწაში 1—1,2 მ სიღრმეზეა ჩასობილი 50 სმ დაშორებით გვერდითი ხაზებიდან. ბოძის ის ნაწილი, რომელიც მიწაშია, უნდა გაიფისოს ან მოიწვას ცეცხლზე, რომ მალე არ დალპეს. ბოძების სიმაღლე მოედნის ზედაპირიდან 2,6 მ. ბადის ზედა ნაწილი ჭაბუკებისათვის უნდა იყოს 2,55 მ. სიმაღლეზე, გოგონებისათვის 2,25 მ. ბადე თავისუფლად უნდა ეკიდოს გაჭიმულ თოკზე. ბადის ოთხივე ბოლო მაგრდება ბოძებზე. ზედა ბოლოები კაუჭებზე, ხოლო ქვედა ბოლოები ბოძში გაკეთებულ სპეციალურ ხვრელებში შესაბამისად 1,45 და 1,25 მ დაშორებით.

კალათბურთის მოედანი





კალათბურთის მოედანს აქვს სამსაჯო ზომები 14×26 მ და სამშენებლო 18×31 მ. სასკოლო მოედნებისათვის ხანდახან უფრო პატარა ზომებსაც იყენებენ — სამსაჯო 10×20 მ, სამშენებლო 14×24 მ. კალათბურთის მოედნების ზედაპირი ისეთივეა, როგორიც ფრენბურთისა. იმისათვის, რომ წვიმის შემდეგ მოედანი მალე გაშრეს, მას აძლევენ დაქანებას ერთ ან ორ მხარეს. დაქანება უდრის 0,5—1 სმ. 1 მ სიგრძეზე. 1,8×1,2 მ ზომის ფარებზე მიმაგრებულია ლითონის რგოლები 45 სმ დიამეტრით. ფარები შემოწეულია პირით ხაზებიდან 120 სმ დაშორებით. ბოძები მოედნის გარეთაა და შორდება ამ ხაზებს არანაკლებ 40 სმ მანძილზე. კალათბურთის ფარები კეთდება 3 სმ სისქის გარანდული ფიცრებისაგან.

მოზარდ მძლეოსანთა სკოლა ვარშავაში

ამას წინათ ვარშავაში გაიხსნა რკინიგზელთა სპორტსაზოგადოება „კოლეიაჟის“ ჭაბუკთა მძლეოსნური სკოლა. სკოლაში სწავლების ვადა 3 წელია. ეს არის პირველი იმ სამი სკოლიდან, რომლებიც უნდა გახსნას „კოლეიაჟის“ ცენტრალურმა საბჭომ.

სკოლაში მეცადინეობას გადის 12-დან 16 წლის ასაკამდე 60 ჭაბუკი და გოგონა. ისინი შერჩეული არიან თავიანთი კარგი სპორტული მონაცემებით და სკოლაში მოსწრებით. სკოლის სასწავლო პროგრამაშია მძლეოსნობის ყველა სახეობა სპორტსმენთა შემდგომი დასპეციალებით სხვადასხვა სახეობაში.

სკოლის მუშაობას ხელმძღვანელობენ პოლონეთის ცნობილი მძლეოსანი მწვრთნელები დობჟანსკა, დლუგობორსკი და ოხენდალი.

როგორ მოვუაროთ ფეხბურთის ინვენტარს

ხშირად გაიგონებთ ფეხბურთელების საყვედურს დაბალი ხარისხის სპორტულ ფორმასა და სათამაშო ბურთების შესახებ.

ისინი მართალნი არიან — სპორტული ინვენტარის საწარმოები დაბალი ხარისხის პროდუქციით ამარაგებენ რესპუბლიკის ფეხბურთელებს.

მაგრამ მარტოოდენ ისინი როდი არიან დამნაშავენი. თუ საფეხბურთო ინვენტარს ფაქიზად მოვუვლით, მისი ტარების ვადა ასე ხანმოკლე არ იქნება. ფეხბურთელმა უნდა იცოდეს სპორტული ფორმის სწორად ჩაცმა, მისი წესიერად მოვლა-შენახვა.

ზედმეტი არ იქნება ახალგაზრდა ფეხბურთელს მივცეთ რამდენიმე რჩევა, თუ როგორ მოიხმაროს ფეხბურთის ინვენტარი და მოუაროს მას.

სათამაშო ფეხსაცმელს (ბუცებს) ფეხბურთელი იცვამს მშრალ, სუფთა და რბილ წინდებზე. ბუცის ჩაცმა ჯობია ბამბისა და შალის წყვილ წინდაზე, ისინი კარგად იცავენ ფეხის კანს დაზიანებისაგან.

პაჭიჭები (გეტრები) შეიძლება ვიხმაროთ, როგორც ბამბის, ისე შალისა, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქია და მჭიდროდაც ეკვრის წვივს. პაჭიჭი წვივზე უნდა დავამაგროთ ფართო რეზინით. დაუშვებელია მის დასამაგრებლად კანაფის გამოყენება, ვინაიდან იგი კუნთში ღრმად იჭრება და აფერხებს სისხლის მიმოქცევას.

წვივსაფარი უნდა იყოს მსუბუქი და თხელი. კარგია თუ მას შიდა ნაწილზე მიკერებული ექნება სქელი ფეტრი. წვივსაფარი წვივზე თავსდება ბამბისა და შალის წინდებს შორის. რბენის დროს რომ საფარმა ადგილი არ შეიცვალოს, საჭიროა მის ზედა და ქვედა კუთხეებში მივაკეროთ განიერი რეზინი.

სათამაშო ტრუსებს აუცილებლად უნდა გავუყაროთ რეზინი. კარგი იქნება თუ რეზინის გარდა მასში დამატებით ვიწრო ზონარსაც გავუყრით, მაგრამ ზონარი ხელს არ უნდა უშლიდეს რეზინის ელასტიკურობას.

ყოველი თამაშის ან ვარჯიშის შემდეგ მაისური, ტრუსები, სპორტული ბანდაჟი და წინდები უნდა გავავლოთ თბილ წყალში, ხოლო თუ ისინი ტალახითაა დასვრილი, საჭიროა მათი გარეცხვა ცხელი წყლით.

ბუცი უნდა იყოს შეკერილი რბილი ტყავისაგან, ფეხზე კარგად მორგებული და მსუბუქი. ბუცს ლანჩაზე უკეთდება თხელი, მაგარი ფიბრის 3 შუასაფენი, რომლებზეც მჭიდროდ მაგრდება 6 მრგვალი კონუსისებური შიპი. ქუსლის შიპები რაც შეიძლება მეტი მანძილით უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისაგან, ხოლო ორი წინა შიპი დანარჩენებზე დაბალია. ბუცის ფეხზე შეკვრა ხდება ბრტყელი ზონრით. სქელი და მრგვალი ზონრით შეკრული ბუცი ფეხისათვის მტკივნეულია და, გარდა ამისა, ბუცის ზურგზე ჰქმნის ბორცვს. ეს ხელს უშლის ზუსტი დარტყმის შესრულებას. ზონარი უნდა გამოინასკვოს ბუცის გარეთა მხარეს ლანჩასთან ახლოს.

თამაშის ან ვარჯიშის შემდეგ ბუცს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. თუ თამაში წვიმიან ამინდში, სველ მოედანზე ჩატარდა, ბუცს გულმოდგინედ უნდა მოვაცილოთ ტალახი და შემდეგ კარგად გავწმინდოთ ოდნავ სველი ჩვრით. ასეთ ამინდში ბუცის ლანჩა ჰკარგავს ფორმას. ამიტომ იგი უნდა გადავზნიქოთ ისე, რომ ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღოს. ამის შემდეგ ბუცის ზედაპირი უნდა გასწორდეს ნაოჭებისაგან, ზონარით შეიკრას ბოლომდე და გაშრეს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბუცის ცხელი წყლით გარეცხვა და გასაშრობად ცხელ ღუმელზე დადება. გაშრობის შემდეგ კარგია თუ ბუცებს ცხიმს წავუსვამთ.

ფეხბურთის სათამაშო ბურთი უნდა იყოს მრგვალი, გარშემოწერილობით 68-დან 71 სანტიმეტრამდე. მისა წონა თამაშის დაწყებამდე უდრის 396-453 გრამს. ბურთის სიმრგვალის გამოსარკვევად არსებობს ასეთი ხერხი: ბურთი ბზრიალით მაღლა უნდა ავაგდოთ. ამ დროს კარგათ ჩანს მისი უსწორო, გამობერილი ადგილები.

ბურთი მხოლოდ თამაშის ან ვარჯიშის წინ უნდა გავბეროთ. თუ იგი ნორმალურ წონაზე ცოტათი ნაკლებია, წონის მომატება შეიძლება ცხიმის წასმით, თუ კი ბურთს ნორმალურ წონამდე 40-100 გრამი აკლია, მაშინ ძველ კამერას უნდა გადავჭრათ თავი, შიგ ჩავდოთ ახალი კამერა და კვლავ გავბეროთ. თამაშის ან ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ბურთიდან აუცილებლად უნდა გამოვუშვათ ჰაერი.

ბურთი მკვრივად უნდა შეიკრას სველი ტყავის ღვედით ისე, რომ მასზე არ დარჩეს ამობურცული ნაწილები.

წვიმაში ან სველ მოედანზე თამაშის წინ ბურთს კარგად უნდა წავუსვათ ცხიმი. თამაშის შემდეგ იგი მშრალი ჩვრით კარგად უნდა გავწმინდოთ და კვლავ წავუსვათ ცხიმი, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჰაერის გამოშვება. წვიმიან ამინდში ბურთი წონაში მატულობს 75-120 გრამს. თუ ბურთი შეიღებება ტყავის ნიტრო საღებავით (თეთრი ან წითელი ფერისა), იგი წონაში მხოლოდ 20-25 გრამს მოიმატებს. ბურთი უნდა შეიღებოს თამაშის დაწყებამდე 6-8 საათით ადრე.

თუ ასე მოვუვლით ფეხბურთის ინვენტარს, მისი ხანგრძლივობა გაცილებით მოიმატებს.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სპორტული ცურვის ახალი სახეობა

ცნობილია, რომ როგორც მოცურავენი, ისე მწვრთნელები წვრთნის პროცესის სრულყოფასთან ერთად ახალ გზებს ეძებენ სპორტული ტექნიკის განვითარებისათვის. ამის შედეგად შეიქმნა ცურვის ახალი სახეობა, რომელსაც „დელფინისებური" ეწოდება.

სანამ უშუალოდ „დელფინის" ტექნიკის აღწერას შევეხებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ ბრასისა და ბატერფლაის განვითარების მოკლე ისტორიას.

ჩვეულებრივი ანუ კლასიკური ბრასით ცურვის დროს მოცურავე მკერდზე წევს. მხრები იმყოფება წყლის ზედაპირის პარალელურად, პირისახე მიმართულია მოძრაობის მხარეს, ხელები მოძრაობს ერთდროულად და სიმეტრიულად, ქვედა კიდურების მოძრაობაც ერთდროული და სიმეტრიულია.

ამ ხერხით ცურვის დროს ხელები მოძრაობს წყლის ქვეშ, რაც ჰქმნის ერთგვარ დაბრკოლებას უფრო მაღალი სიჩქარის განვითარებისათვის. არსებობს ცურვის ამ ხერხის რამდენიმე ვარიანტი, რომლებმაც შემდგომში მოგვცა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

1928 წლის ოლიმპიადაზე ფილიპინელმა ინდელფონსმა მაყურებელს უჩვენა ბრასით ცურვის ორიგინალური და თავისებური ტექნიკა. ცნობილია, რომ ბრასით ცურვის დროს სრიალი სრულდება მაშინ, როდესაც ხელები მთლიანად გაიმართება წინ. ინდელფონსი კი სრიალებდა მაშინ, როდესაც ხელები ამთავრებდნენ გრძელ მოსმას და იმართებოდნენ უკან, სხეულის გასწვრივ. ამის შემდეგ მოცურავეს ხელები გაჰქონდა წინ ნიდაყვებში მოხრით წყლის ქვეშ. ცურვის ამ ხერხის დადებითი მხარე ის იყო, რომ მოცურავე ასრულებდა გრძელ და ეფექტურ მოსმას ხელებით.

მიუხედავად იმისა, რომ ინდელფონსმა ბრასის ამ სახეობის ცურვით იმ დროისათვის მაღალ შედეგს მიაღწია (2:46,6), მან მიმდევრები ვერ ჰპოვა და მისი ხერხი პრაქტიკულად არ გამოუყენებიათ.

1934 წელს სულ სხვა გზას დაადგნენ მოსკოველი მოცურავეები — უვაროვი და ვლადიმიროვი. მოსაბრუნებელ ფართან მიახლოების წინ ისინი ასრულებდნენ რამდენიმე გაგრძელებულ მოსმას ბარძაყებამდე, ხოლო უკანასკნელ მოძრაობას ხელების წინ გატანისათვის ახორციელებდნენ მათი წყლიდან ერთდროული ამოღებით და ჰაერში გადანაცვლებით. ეს რამდენიმე მაღალხარისხოვანი მოსმისა და თითქმის წინააღმდეგობის გარეშე ხელების წინ გატანის შესაძლებლობას იძლეოდა.

ამრიგად, ბრასით ცურვის ტექნიკას თანდათანობით შეემატა რამდენიმე ახალი ელემენტი, რომელმაც მომავალში ხელი შეუწყო ცურვის ახალი სახეობის შექმნას.

მსოფლიო რეკორდი ბრასით ცურვაში ამ დროისათვის ეკუთვნოდა ფრანგ კარტონეს და უდრიდა 1:12,4. 1935 წელს ბატერფლაის გამოყენებით ამერიკელმა ხიგინსმა აჩვენა 1:10,8. ამ შედეგმა დაარწმუნა სპორტსმენები ბატერფლაის უფრო მაღალ სისწრაფეში და ბრასის ხერხით ცურვის დროს განსაკუთრებით — 200 მეტრზე, თითქმის ყველა იყენებდა ბატერფლაის მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ბატერფლაით მაღალი სისწრაფის ჩვენება შეიძლებოდა მხოლოდ 100 მეტრზე. ცნობილმა საბჭოთა სპორტსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მეშკოვმა ბატერფლაის გამოყენებით 100 მეტრზე აჩვენა 1:07,8. მუყაითი მუშაობისა და ტექნიკის სრულყოფით 1946 წელს მან აჩვენა 1:05,1 და ეს დრო 18 წლის მანძილზე საუკეთესო შედეგად ითვლებოდა მსოფლიოში.

ამრიგად, ნათელი გახდა ბრასთან შედარებით ბატერფლაის უპირატესობა. ცურვის ამ სახეობაში მაღალ შედეგებს აღწევენ ის მოცურავეები, რომლებიც ბატერფლაის იყენებდნენ. თანდათან დაიბადა აზრი, რომ სუფთა ბრასით ცურვა უპერსპექტივოა. ეს მტკიცდება კიდევ იმითაც, რომ XV ოლიმპიადის მონაწილეები ბრასით ცურვის დროს ბატერფლაის იყენებდნენ და ფინალში მოხვდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ამ ხერხით ცურავდა.

1953 წლის 1 იანვრიდან ბატერფლაი გამოყოფილ იქნა ცურვის დამოუკიდებელ ხერხად და ამ სახეობაში მიღწევები აღირიცხებოდა დამოუკიდებლად. ამას თან მოჰყვა ბატერფლაით ცურვის ტექნიკაში ახალი სახეობის გამოყენება, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მოცურავეს შეეძლო ორივე ფეხის ერთდროული მოძრაობა ზევიდან ქვევით.

1953 წელს უნგრეთის წარმომადგენელმა ტუმპეკმა ბატერფლაით ცურვაში გამოიყენა ფეხების მოძრაობის ახალი მეთოდი და ცურვის ამ სახეობაში მიაღწია ახალ მსოფლიო რეკორდს — 1:04,3. ამან მიიპყრო საბჭოთა სპორტსმენების ყურადღება. 1954 წლის 28 იანვარს მოსკოველმა მოცურავემ პ. სკრიპჩენკოვმა სტარტი აიღო და დაიწყო ცურვა არაჩვეულებრივი ხერხით. იგი ფეხებს ამოძრავებდა ვერტიკალურ სიბრტყეში, ერთდროულად წყალქვეშ მუხლებს ღუნავდა, ხოლო შემდეგ სწრაფად მართავდა მათ. ფეხების ეს უცნაური მოძრაობა მოგვაგონებდა დიდი თევზის დელფინის კუდის ქნევას. 100 მეტრი პ. სკრიპჩენკოვმა დაფარა 1:06,8, რაც უდავოდ მაღალ შედეგად უნდა ჩაითვალოს პირველი ცდისათვის. იმედია, რომ პირველ ცდას მოჰყვება შემდგომი უფრო მაღალი შედეგები.

რას წარმოადგენს ცურვა „დელფინი?"

მოცურავე მკერდზე წევს, ხელები და ფეხები გამართულია, მხრები წყლის ზედაპირის პარალელურია. ხელებს უსვამს ვერტიკალური მიმართულებით ერთდროულად და სიმეტრიულად. შეერთებული ფეხები მოძრაობს ერთდროულად და სიმეტრიულად ვერტიკალურ სიბრტყეში, მუხლების ოდნავი მოხრითა და მენჯის სახსარში ტალღისებური მოძრაობით. ხელები ამთავრებენ მოსმას, ფეხები ოდნავ იღუნება მუხლებში და მოძრაობს ჰაერში. ხელები ამოდის წყლიდან და ერთდროულად მოძრაობს წყლის ზედაპირზე ჰაერში. ხელები ამთავრებს მოძრაობას წინ, ფეხები ასრულებს განმეორებით ტალღისებურ მოძრაობას ზევიდან ქვევით.

ამრიგად, ხელების მოძრაობის ერთ, მთლიან ციკლს ეხამება ფეხების ერთდროული მოძრაობა 2 ჯერ, მაგრამ დასაშვებია სხვა ვარიანტებიც (ერთი ან სამი მოძრაობა). ცურვის ამ სახეობაში ფეხები გამართულია და ცერები ოდნავ შეტრიალებულია შიგნით. სუნთქვა ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ბატერფლაით ცურვის დროს.

ცურვის ახალი სახეობა „დელფინი" უკვე აითვისა საქართველოს ბევრმა სპორტსმენმა.

ლ. იოაკიმიდი,
მწვრთნელი ცურვაში,
გ. დათაძე,
ფიზკულტურის ტექნიკუმის უფროსი მასწავლებელი ცურვაში.

მოძმე უკრაინაში

◆

სტარტზე არიან მოთხილამურეები

გოლოსეევსკის ტყეში დამთავრდა 5 ქალაქის — კიევის, ხარკოვის, ლვოვის, სუმისა და უჟგოროდის მოთხილამურეთა მატჩი. საინტერესო გამოდგა 8 კილომეტრზე ქალთა და 10 და 18 კილომეტრზე ვაჟთა ასპარეზობა. გამარჯვება მოიპოვეს კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ორლოვამ და ხარკოველმა — მოსტოლგინმა და გრიზლოვმა. ჩერეპანოვის მთაზე გაიმართა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში. მონაწილეობდა 19 სპორტსმენი. პირველობა დარჩა კიეველ სპორტსმენ ლიმანს.

ამას წინათ კიევის სპორტსაზოგადოებათა 400 სპორტსმენი შეიკრიბა გოლოსეევსკის ტყეში. აქ მოეწყო სათხილამურო ამანათრბენი. პირველად სტარტი აიღეს 3X3 კმ მონაწილე ქალებმა. გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მ. ინდრისოვა, მ. ორლოვა და ო. მელნიკოვა. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 4X5 კმ ამანათრბენში. აქაც წარმატება ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს ხვდათ.

ზუსტი სროლის ოსტატები

ხარკოვში მოეწყო სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი, ქალაქის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება სროლაში. მონაწილეობდა 52 სპორტსმენი.

ორი დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა „სპარტაკი".

პირად პირველობაზე გაიმარჯვა სპარტაკელმა ვ. გუნკომ, მეორე ადგილზეა ა. გულიაევი („ბურევესტნიკი"), მესამეზე — პ. ვასილიევი („სპარტაკი"). მრგვალ სტენდზე სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს ვ. გუნკომ და ა. გულიაევმა.

სტუმრები ლენინგრადიდან

კიეველ დინამოელებს ესტუმრნენ ლენინგრადელი თანაკლუბელები. „დინამოს" საციგურაოზე მოეწყო ორი ქალაქის სპორტსმენთა შეხვედრა. სტუმრებმა მრავალრიცხოვან მაყურებელს აჩვენეს ციგურებით ცეკვა და ფიგურული სრიალი.

მუკაჩოვოს (უკრაინის სსრ) მოლოტოვის სახელობის ხისგადამმუშავებელი არტელის თხილამურებმა კარგი შეფასება მიიღეს სპორტსმენებისაგან. წელს 150 ათასამდე თხილამური დაამზადა ამ არტელმა.

სურათზე: კონტროლიორი ს. გორონდი ამოწმებს მზა პროდუქციას.

ფოტო ლ. კოვგანისა.

რვა გუნდის მონაწილეობით

შვიდი დღის განმავლობაში მოსკოვის პირველ საცურაო აუზში მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის 8 უძლიერესი კოლექტივის ტრადიციული შეჯიბრება წყალბურთში. მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი „ტორპედო", თასის მფლობელი ცდსა, გასული წლის ათი უძლიერესი კოლექტივის მატჩში გამარჯვებული მოსკოვის „დინამო" და სხვ.

საინტერესო გამოდგა არმიელთა შეხვედრა „ტორპედოსთან", რომელიც დამთავრდა ანგარიშით 2:2. პირველი ადგილი უნდა გამოერკვია ცდსა-სა და „დინამოს" მატჩს. დინამოელებმა შეხვედრა მაღალი ოსტატობით ჩაატარეს, გამოავლინეს თამაშის ტექნიკური და ტაქტიკური მრავალფეროვნება და გაიმარჯვეს (3:1). ამ მატჩში ყველაზე უძლიერესი იყო დინამოელი პეტრე მშვენიერაძე, რომელიც შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებითა და კარში უძლიერესი დარტყმებით გამოირჩეოდა. იგი მოწინააღმდეგის კარში ბურთებს აგზავნიდა თითქმის ყოველი მდგომარეობიდან, თანაც მოულოდნელად, ბურთის გაუჩერებლივ.

ამრიგად, მოსკოვის „დინამომ" 14 შესაძლებლიდან 14 ქულა დააგროვა და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა მოსკოვის ცდსა, მესამეზე „ტორპედო".

* * *

სურათზე: მოსკოვის „დინამოს" გუნდი (მარჯვნიდან) პ. მშვენიერაძე (გუნდის კაპიტანი), მ. რიჟაკი, ზ. ჩაჩავა, ნ. გვახარია, ი. შლიაპინი, ნ. მალცევი და ვ. კარმანოვი.

ფოტო და ტექსტი სპორტის ოსტატ
ბ. ხარებოვისა.

ყიზლარის იალაღებზე

ხევში გაწოლილ გზაზე ცხვარი მიდიოდა... ისმოდა მეცხვარეთა შეძახილები და ძაღლების ყეფა. ფარას უკან მიჰყვებოდა ახალგაზრდა მწყემსი, რომელსაც კომბალი მხარზე გაედო და ღიღინებდა. ამ დროს ხევში გაისმა მოახლოებული ავტომანქანის ხმა...

მანქანიდან გადმოვიდა თიანეთის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის ინსპექტორი. იგი მიუახლოვდა მწყემსს, რომელიც მოულოდნელ სტუმრებს განცვიფრებით უყურებდა.

— გამარჯვება ვალერიან! — მიესალმა ინსპექტორი. — საით?

— მთაში, ცხვარი მიგვყავს საზაფხულო იალაღებზე, — იყო პასუხი.

— ეს კარგია, — უთხრა ინსპექტორმა, — მაგრამ შენ ცოტა ხნით უკან დაბრუნება მოგიწევს — ყობულეთში „კოლმეურნის" პირველობა მიმდინარეობს ქართულ ჭიდაობაში, მონაწილეობა უნდა მიიღო, რაიონი უნდა ასახელო.

— ცხვარს ვერ მივატოვებ. — უპასუხა მწყემსმა, შემდეგ დაფიქრდა. ეტყობოდა, რომ ყოყმანობდა. — თუ ბრიგადირი გამიშვებს, თანახმა ვარ.

ინსპექტორმა არ დააყოვნა. ბრიგადირი მოძებნა, დაითანხმა და რამდენიმე წუთის შემდეგ ფარამ განაგრძო გზა, მანქანა კი მწყემსიანად უკან გამობრუნდა.

ვალერიანი ფიქრებმა გაიტაცა. გაახსენდა ცხვარში გატარებული ბავშვობა. იქ ისწავლა მან ჭიდაობა.. საღამოობით, როდესაც ცხვარს დააბინავებდნენ, მწყემსები წრეს შეკრავდნენ, სალამური საჭიდაოს დაუკრავდა და სახელდახელოდ მოწყობილ სარბიელზე ახალგაზრდები გამოჩნდებოდნენ. ვალერიანი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა.

ქობულეთის პარკში თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა კოლმეურნე მოჭიდავეებმა. საშუალო წონაში ვალერიანი ექვს მოწინააღმდეგეს შეხვდა და არც ერთი ქულა არ დაუკარგავს. შეჯიბრება დამთავრდა. ვალერიან ლაფერაშვილს მიენიჭა სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს" 1953 წლის ჩემპიონის სახელი.

ახლა ვალერიან ლაფერაშვილი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზეა. მას ჩაბარებული აქვს სოფელ თიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის 800-მდე ცხვარი. ბრიგადას ხელმძღვანელობს გამოცდილი მეცხვარე გ. მოსიაშვილი. ბრიგადაში ვალერიანის გარდა არიან სხვა სპორტსმენებიც. სიკო ცხვარიაშვილი, თენგიზ უნაფქოშვილი, ფირუზა ოკინაშვილი კარგი მომავლის მქონე მოჭიდავეებია. შარშან ბრიგადამ 800 სადედე ცხვრიდან 700-მდე ბატკანი გამოზარდა. ვალერიანმა და მისმა ამხანაგებმა შარშან 600-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავეს.

მესამე ბრიგადის თვითეულმა წევრმა კარგად იცის, თუ რას ავალებს მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები.

— ყოველ ღონეს ვიხმართ, — განაცხადა ლაფერაშვილმა, — რათა გავზარდოთ საკოლმეურნეო დოვლათი, ცხვრის პროდუქტიულობა, ხელი შევუწყოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიურ განმტკიცებას. ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა. მაგრამ რასაკვირველია, სპორტულ საქმიანობასაც არ დავივიწყებთ, რადგან მწყემსი ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს.

ტ. ლომთაძე.
ყიზლარი.

შეხვედრა ბ. პაიჭაძესთან

17 თებერვალს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კლუბში მოეწყო შეხვედრა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა უფროს მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბორის პაიჭაძესთან.

წაკითხულ იქნა მოხსენება ბორის პაიჭაძის სპორტული მოღვაწეობის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების მუშაკები ა. ნოდია, თ. კახიანი და სხვები.

თავის საპასუხო სიტყვაში ბორის პაიჭაძემ ილაპარაკა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივის წინაშე მდგარი საპასუხისმგებლო ამოცანებისა და გუნდის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დასასრულ, კლუბის თვითმოქმედი კოლექტივებისა და ფილარმონიის ძალებით გაიმართა კონცერტი.

ი. ფაჩულია

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი გაზ[illegible]ის მკითხველი გვწერდა, რომ თე[illegible]ვში კულტურის სახლში ჭადრა[illegible] წრე სრულიად არ არის, ხოლო [illegible]ჯანმრთელობის განყოფილებას[illegible] [illegible]ამოყალიბებული წრე ფორმა[illegible]დ არსებობს, ამიტომ ახალგაზრდები მოკლებულნი არიან სპორტის ამ სახეობის დაუფლებას.

როგორც საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ა. უთიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

«ცეკვა ფეხბურთის მოედანზე»

როგორც ცნობილია, გასულ წელს ლონდონში უემბლის სტადიონზე თავიანთი ნაციონალური სპორტის — ფეხბურთის 100 ათასი ინგლისელი-ფანატიკოსი ინგლისის ნაკრები გუნდის დამარცხების მოწმე გახდა. უნგრეთის ნაკრები გუნდის 6 ბურთს მასპინძლებმა მხოლოდ 3 ბურთით უპასუხეს. ამგვარად, დამარცხებულ იქნა ინგლისის ნაკრები, რომელიც 90 წლის მანძილზე სტუმრად ჩასულ არცერთ გუნდს არ დაუჯაბნია ბრიტანეთის კუნძულზე — ესე იგი თავისსავე მოედანზე.

• • •

ბუდაპეშტიდან ლონდონში მგზავრობისას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა — უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი გუსტავ შებეში) გზად გაიარა პარიზში. უნგრელებმა გადაწყვიტეს აქ ხანმოკლე ყოფნა გამოეყენებინათ რენოს ქარხნების მუშების ფეხბურთელთა გუნდთან დახურული საწვრთნელი მატჩისათვის. შეხვედრას, რომელიც მოეწყო მედონის ტყეში ოლიმპიკ-კლაბ-დე-ბიანკურის სტადიონზე, ესწრებოდნენ მხოლოდ ქარხნის მუშები და სპორტული პრესის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ წარსულში საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი გუსტავ შებეში ამჟამად არის უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მასვე აქვს დაკისრებული უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობა და წვრთნა.

1923 წელს გუსტავ შებეში კაპიტალისტურ უნგრეთში ავტომანქანების ამწყობად მუშაობდა. ერთხელ მათ ქარხანაში ფართო გაფიცვა მოეწყო და შებეში, რომელიც იყო პროფკავშირის რწმუნებული ახალგაზრდა მუშებს შორის მუშაობის საწარმოებლად, იძულებული გახდა გაქცეულიყო, რადგან ციხე მოელოდა.

მან დატოვა სამშობლო და 1924 წელს ჩავიდა საფრანგეთში, როგორც ემიგრანტი. აქ იგი მუშაობდა სხვადასხვა საწარმოში, მათ შორის დედიონ-ბუტონისა და რენოს საავტომობილო ქარხნებში. სამშობლოში ყოფნისას იგი ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო და პარიზში ჩასვლისას რამდენიმე უცხოელ მუშასთან ერთად შეადგინა „მოხეტიალე სპორტული კლუბი“, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა საფრანგეთში 1925-1926 წელს გათამაშებულ ფეხბურთის პირველობაში. შემდეგ იგი შევიდა ოლიმპიკ-კლაბ-დე-ბიანკურის გუნდში, სადაც გაეცნო ცნობილ ფეხბურთელებს — მეკარე პიერ შერიგეს, თავდამსხმელ რადიგონსა და სხვ.

ემიგრაციაში რამდენიმე წელს ყოფნის შემდეგ შებეში სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო თავისი პროფკავშირულ-სპორტული საქმიანობა. უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების დღიდან იგი თავდადებით მუშაობს ფიზკულტურისა და სპორტის დარგში და როგორც დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელი და მწვრთნელი საერთაშორისო ასპარეზობებისათვის ამზადებს უნგრეთის ნაკრებს.

ზემოაღნიშნული ნათელყოფს, თუ რატომ დათანხმდა სიამოვნებით შებეში თავისი გუნდისა და რენოს ქარხნების მუშა ფეხბურთელების ასპარეზობის მოწყობაზე. ამით მან არა მარტო პატივი სცა ყოფილ ამხანაგებს — რენოს მუშებს, არამედ პარიზის ყველა მოწინავე მუშებსაც, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

• • •

აი, სპორტის მოყვარული მუშებით სავსე ოლიმპიკ-კლაბ-დე-ბიანკურის მოედანზე არიან უნგრელი ფეხბურთელები. მუქწითელ მაისურებზე მათ უკეთიათ სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის ღერბი და განმასხვავებელი ნიშანი — „წითელი ვარსკვლავი პურის თავთავსა და ჩაქუჩის თავზე“. ისინი მოთელვით ვარჯიშს აწარმოებენ: ხტიან, მკერდამდე აქვთ მუხლები, ხელებით აკეთებენ ხრახნისებურ მოძრაობას, გარბიან, დარბიან ადგილზე... ყველა მათ მოძრაობას ახასიათებს ზღვრული დახვეწილობა და ამდენად ისინი მომხიბვლელია.

მაყურებელს ეს ვირტუოზული ტექნიკა მით უფრო აკვირვებს, რომ მათ იციან: სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთში უკვე აღარ არიან პროფესიული სპორტსმენები და, მაშასადამე, თამაშის ესოდენ მაღალ კლასს დაუფლებულია სხვადასხვა ძირითადი პროფესიის მქონე ფეხბურთელები. მაგალითად, გუნდის კაპიტანი პუშკაში უნგრეთის არმიის ოფიცერია, კოჩიში — მოსამსახურე, ბოჟიკი — მეშახტე და ა. შ.

აი, გუნდები უკვე ასპარეზობისათვის გამოვიდნენ მოედანზე. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. ოცდაათი წამის შემდეგ — არც მეტი არც ნაკლები! — უნგრელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს პირველი ბურთი და მაყურებლებს გულიდან აღმოხდათ აღტაცების შეძახილები — განა ხშირად ნახავთ ასეთ ელვისებურ და შედეგიან კომბინაციას! მოედანზე ხდება რაღაც საოცრება: არ არის ფეხბურთი, როგორც ასეთი, — მის მაგივრად მაყურებელი ხედავს პირუეტებს (ცალი ფეხის ცერზე მთელი ტანის სრული შემობრუნება), თითქმის საბალეტო პასა და ანტრაშას. მათი მოძრაობის დახვეწილობა, მოქნილობა და სიზუსტე ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს მოედანზე ადგილი აქვს ქორეოგრაფიას — ბურთით ცეკვას და არა საფეხბურთო შეხვედრას. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს, ამ თამაშს დაკარგული ჰქონდა მისი ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება — ატლეტურობა. პირიქით, ყოველივე ამის მიუხედავად, უნგრელთა თამაში მეტად ატლეტურია.

მაყურებელს პირველყოვლისა თვალში ხვდება ცალკეული მოთამაშეების ვირტუოზულობა და არა უნგრელთა მთელი ანსამბლის უზადლო ტექნიკა, რაც შემდგომ, უკვე თამაშის პროცესში, ჭეშმარიტად ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს ხოლმე ადამიანს. მინდორზე მირბის თავდამსხმელი კოჩიში, ხელები გაშლილი აქვს, თავი დახრილი, — აი, მან წაიცეკვა მარჯვნივ, წაიცეკვა მარცხნივ და ოსტატურად გაუსხლტა მოწინააღმდეგეს. ტანდაბალი პუშკაში სწრაფად ამოძრავებს ფეხებს და მკვეთრი ნახტომებით წინ მიიგორებს ბურთს. აბა, სცადეთ და დაეწიეთ მას! რაც უნდა სწრაფად მიგორავდეს ბურთი გვერდითი ან პირითი ხაზისაკენ, მას მაინც მიუსწრებენ და მოედნის ფარგლებში შეაჩერებენ ბუდაი და კოჩიში. უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელები ბრწყინვალედ არიან დაუფლებული თამაშის ტექნიკას: ისინი ბურთს იღებენ ყველა მიმართულებიდან... მიღებულ ბურთს კი პარტნიორს სწრაფად და ზუსტად გადასცემენ ხოლმე ისე, რომ ბურთს მიწაზე დაცემის საშუალებას არ აძლევენ. რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს უნგრელი ფეხბურთელი, იგი მუდამ ახერხებს ისეთი ხერხის გამონახვას, რომ მოატყუოს მოწინააღმდეგე და გვერდი აუაროს...

უნგრელთა თამაშში მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ მთელი გუნდი განუწყვეტელ მოძრაობაშია (აქ ვლინდება ფიზიკური მომზადების მაღალი დონე): თავდასხმა და ნახევარდაცვა წამითაც კი ადგილზე არ ჩერდება, — მოედანზე მათი გადანაცვლების ელვისებური სისწრაფე მაყურებელს აიძულებს გამუდმებით დაძაბულ მდგომარეობაში იყოს. თამაშის ასეთ სწრაფ ტემპს ისინი აღწევენ ბურთის გადაცემის სრულყოფილი ტექნიკით. უნგრელი ფეხბურთელი ბურთს აწვდის მხოლოდ მოძრაობაში მყოფ მოთამაშეს... ეს მეორე მოთამაშე, იყენებს რა მის მიერ უკვე განვითარებულ სისწრაფეს, ბურთს აწვდის მესამე მოთამაშეს, როცა იგი გარბენს აიღებს და ასე შემდეგ. ყველა გადაცემას ახასიათებს თითქმის მექანიკური სიზუსტე — ბურთი პირდაპირ ფეხებში ხვდება იმას, ვისთვისაცაა იგი განკუთვნილი. ასეთი სისწრაფე და გადაცემათა სიზუსტე საშუალებას იძლევა შეტევა იწარმოოს მთელი გუნდით. როგორც კი თავდასხმის ცენტრი, ვთქვათ, ჰიდეგკუტი ან რომელიმე შუამარბი ხელთ იგდებს ბურთს, მაშინვე ყველა თავდამსხმელი გარღვევაზე გადადის, რათა ზუსტად მოწოდებული ბურთი რაც შეიძლება ახლო მიიღოს მოწინააღმდეგის კართან. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია მოწინააღმდეგის კართან ბურთის გათამაშების ტექნიკა: ბურთი 3-4 კაცს მოივლის, სანამ მეხუთე კარში დაარტყამს. და დაარტყამს შედეგიანად! დამამთავრებელი დარტყმა სრულდება გასაოცარი ძალით და სიზუსტით. მას ასრულებს ის მოთამაშე, რომელიც მოცემულ მომენტში ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაშია კართან.

ეს ინდივიდუალური ვირტუოზობა და მთელი სისწრაფით მოძრაობისას ბურთის გადაცემის ბრწყინვალე ტექნიკა კოლექტივის მაღალი ფიზიკური მომზადებისა და ერთსულოვნების შედეგია. გუნდი ისეა გაწვრთნილი, რომ მუდამ პოულობს საუკეთესო გამოსავალს, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს თამაშის მიმდინარეობა. უნგრელების მიერ შემუშავებული თავდასხმის რამდენიმე ტაქტიკური ხერხი, ამას გარდა, თამაშის მსვლელობისა და მოედანზე მოწინააღმდეგის გუნდის განლაგების შესაბამისად თამაშის სწრაფად გარდაქმნის უნარი იმაზე მეტყველებენ, რომ ისინი უაღრესად შინაარსიან წვრთნას ეწევიან.

კორესპონდენტებთან საუბრისას შებეშმა განაცხადა: „როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, ჩვენ, უნგრელებს, უწინარეს ყოვლისა გვახასიათებს მაღალი ტექნიკა. ჩვენი ფეხბურთელები სწრაფად დარბიან. ისინი არ გამოირჩევიან დიდი ღონით, მაგრამ ამ ნაკლოვანებას ავსებს თავის თავზე შეუპოვარი მუშაობა და ხანგრძლივი წვრთნა“.

მაყურებლები გაკვირვებით კითხულობდნენ, თუ რატომ ასე მონდომებით და მთელი ძალით თამაშობენ უნგრელები — მატჩი ხომ ამხანაგურია და მოწინააღმდეგეც შედარებით სუსტია. უნგრელების წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოება სწორედ ამაში მდგომარეობს — ისინი მუდამ და ყველასთან მთელი ძალით თამაშობენ და ეს გამარჯვებასთან ერთად მათ მაღალ ტექნიკასა და გამძლეობას მატებს.

„ინგლისელებსაც ასე დააწექით!“ გაიძახოდნენ მუშა მაყურებლები. და ეს თავისებური განაწესი უნგრელებმა, როგორც ვიცით, სასახელოდ შეასრულეს.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა ფრანგმა ჟერალდ კაზობონმა, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა უნგრელთა თამაშმა მედონის ტყეში, განაცხადა, რომ მან ნახა „ცეკვა ფეხბურთის მოედანზე“, და ამ სათაურით გამოაქვეყნა ფართო და საინტერესო რეპორტაჟი.

ლ. გამრეკელი.

ა. პეტროვის სახელობის ჯილდოზე

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ჭადრაკის პირველი რუსი ოსტატის ალექსანდრე დიმიტრის-ძე პეტროვის დაბადების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება „ა. პეტროვის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ელვისებურმა თამაშმა ა. პეტროვის სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში 40-მდე მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ფინალურ ტურნირში გაიმარჯვეს ოსტატობის კანდიდატმა ვ. ქარსელაძემ (I ადგილი), სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გოგლიძემ (II ადგილი) და ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა (III ადგილი). გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

სამი პირველი ადგილი

„ისკრის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა ძაუჯიყაუში, თავი მოიყარა მოჭიდავეთა ძლიერმა შემადგენლობამ. პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ქალაქების 12 კოლექტივი.

შეჯიბრების პროცესში ბევრი იყო ტექნიკურად გამართული და შინაარსიანი შეხვედრა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა მოჭიდავეებმა. ასე მაგალითად, საქართველოს წარმომადგენელმა ბეროზაშვილმა გამოავლინა რა კარგი ტექნიკური მომზადება და მორალური სიმტკიცე, დაამარცხა სპორტის ოსტატი მოისეევი. საინტერესო იყო ახალგაზრდა მოჭიდავის ქორიძის შეხვედრა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატ ვარდანიანთან (სომხეთი). მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება მინიმალური უპირატესობით მიაკუთვნა ჩემპიონს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მძიმე წონის მოჭიდავემ ცინცაძემ, რომელიც გამოდიოდა პირად ჩათვლაში.

4 დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი წილად ხვდა საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივს (28 ქულა).

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ნერსესიანმა, გევორქიანმა (ორივე სომხეთიდან), ბეროზაშვილმა (საქართველო), ვარდანიანმა (სომხეთი), აკოფოვმა (აზერბაიჯანი), მაისურაძემ, ციმაკურიძემ (ორივე საქართველო), სტრიჟაკმა (სარატოვი).

საქართველოს გუნდიდან მეორე ადგილებზე გამოვიდნენ მდინარაძე (მძიმე წონა) და სინაურიძე (საშუალო წონა), ფიჩხაძეს (მჩატე წონა), წილად ხვდა მესამე ადგილი.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი (მარცხნიდან მარჯვნივ) შ. მდინარაძე, ი. ცინცაძე, დ. ციმაკურიძე, გ. სინაურიძე, ვ. მაისურაძე, ი. ჩხარტიშვილი, ა. ჭორიძე, ა. ბეროზაშვილი, ს. ფიჩხაძე.

ფოტო და ტექსტი სპორტის ოსტატ

ვ. ილურიძისა.

მკითხველთა წერილები

ყველაზე როდი ითქმის

ოჩამჩირის რაიონის ბევრ სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია სექციების ნაყოფიერი მუშაობა ქალაქის პირველ, მეორე, ტამიშის, კოჩარის, არაკიჩის საშუალო, ოჩამჩირის პირველ, არადესა და ცაგერას რვაწლიან სკოლებში. აქ რეგულარულად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სრულდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმები.

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის სოფელ მეორე ათარის საშუალო სკოლაზე, სადაც ფიზკულტურას ასწავლის არასპეციალისტი ა. გოგოხია. მისი სუსტი მუშაობის შედეგად სკოლაში ჩაშლილია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა არ ტარდება სპორტული შეჯიბრებები, კეთილმოუწყობელია სპორტული მოედნები და სხვ. ფიზკულტურული მუშაობა სუსტადაა დაყენებული აგრეთვე ჭლოუს, გუფის, აკვასკის მეორე, ილორის, ოჩამჩირის მეორე რვაწლიან და სხვა სკოლებში.

ამ სკოლებს არა ჰყავთ ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები, განიცდიან სპორტული ინვენტარის ნაკლებობას.

ვ. დოხნაძე

არ ჰყავთ ნიშნოსნები

სოფელ თებერდის (ქლუხორის რაიონი) საშუალო სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტის განვითარებას. სკოლას არ გააჩნია სპორტული ინვენტარი, არ ტარდება შეჯიბრებები. ამიტომაა, რომ აქ არც ერთი ნიშნოსანი არ ჰყავთ. სკოლაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისათვის ნაკლებად ზრუნავს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების რაიონული განყოფილებები.

ზ. რეხვიაშვილი

ნორჩი სპორტსმენები კოლმეურნეებთან

სოხუმის მოზარდთა სპორტული სკოლის სპორტსმენები მწვრთნელების ვ. უსტიანცევისა და ვ. კრილოვის ხელმძღვანელობით ამას წინათ ეწვივნენ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობისა და ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს და ჩაატარეს საჩვენებელი გამოსვლები. მაყურებელი განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა პირველთანრიგოსნების ნ. ლადიძის, ე. სტრელიჩევას და ლ. ფილატოვას მიერ შესრულებული თავისუფალი ვარჯიშით. დიდი მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ახალგაზრდა აკრობატების მ. ქირიას, ვ. მაკუშენკოსა და ბობინის გამოსვლამ. კოლმეურნეებს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს აგრეთვე აფხაზეთის უძლიერესმა ტანმოვარჯიშე ქალებმა ს. სერგეევამ და მ. მიხაილოვამ.

პ. ლეთოდიანი.

პირველად ხაშურში

ხაშურში მოეწყო შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში. პირველი ადგილი დაისაკუთრა მე-14 სკოლის მოსწავლემ ო. რუდოიმ.

მოეწყო აგრეთვე ასპარეზობა ციგურებით სრიალში. ამ სახეობაში კარგი მაჩვენებლებით გამოირჩნენ გ. ბალდინოვი, ზ. ბარბაქაძე, გ. დანდუროვი, ვ. ძამაშვილი, ვ. შელიხანოვი და სხვ.

ვ. ცქიტიშვილი

სათხილამურო გადასვლა

ქუთაისის ავტო-მექანიკური ტექნიკუმის 13 სტუდენტის მონაწილეობით მოეწყო 30 კილომეტრიანი სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ქუთაისი-სათაფლია-წყალტუბო-ქუთაისი. საგიტაციო გადასვლა მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

ა. ალფაიძე,
სპორტის ოსტატი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00639